# ლოცვის 40 დღე

აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორია, 11 აპრილი-23 მაისი




## დღე *21* | *3* მაისი | თბილისის ცენტრალური

მისალმება!

მოგესალმებით ჩემო ძვირფასებო. თბილისის ცენტრალური  ეკლესია მოგესალმებათ და გილოცავთ დამდეგ აღდგომას, უფლის მშვიდობა.

მინდა წაგიკითხოთ ესაიას 6:1-3 ხედვა: „1 მეფე ყუზიაჰუს სიკვდილის წელს ვიხილე მე უფალი, მჯდომარე მაღალ და აღზევებულ ტახტზე და მისი კიდენი ავსებდა ტაძარს. 2 სერაფიმნი იდგნენ მის ზემოთ: ექვსი ფრთა ჰქონდა თითოეულს, ორით იფარავდა თავის სახეს და ორით იფარავდა თავის ფეხებს და ორით დაფრინავდა. 3 და ეძახდა ერთი მეორეს ასე: ,,წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ცაბაოთი! სავსეა მთელი ქვეყანა მისი დიდებით.“ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ადიდებდნენ უფალს მის გარშემო მყოფი სერაფიმები. და ჩვენი მოწოდება თქვენდამი დღეს ჟღერ ასე: მოდით ამ მშვენიერ დროს, გავაერთიანოთ ჩვენი ძალები ქრისტეს გარშემო და ვადიდოთ ის. დღეს და საუკუნოდ ის არის ჩვენი თაყვანისცემის ერთადერთი ობიექტი. ამინ.

ასევე, მოგიწოდებთ თქვენც ძვირფასო ეკლესიავ. იოანეს სახარებაში 17:21-23 ვკითხულობთ: 21 რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი - შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს სოფელმა, რომ შენ მომავლინე. 22 და დიდება, რომელიც შენ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთნი. 23 მე მათში და შენ ჩემში, რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთში და რათა იცოდეს სოფელმა, რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე.

მაშ ასე, ამ ძვირფასი დღეების განმავლობაში, ჩვენ როგორც ეკლესია მოგიწოდებთ, რომ ჩვენი ყურადღების ცენტრში იყოს იესო ქრისტე! და ჩვენ, ყველანი სხვადასხვა ქვეყნებიდან, ერთობლივად განვადიდოთ ჩვენი უფალი იესო ქრისტე!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მოახლოებას, უფალმა დალოცოს თითოეული ჩვენგანი!

მშვიდობა მოგცეთ! შალომ!